საინფორმაციო ბიულეტენი

იანვარი-თებერვალი-მარტი

Georgian Farmers' Association

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

2019

შეხვედრა დონალდ ტრამპთან

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ბენეფიციარი ნინო ზამბახიძე დონალდ ტრამპმა ახალი ინიციატივის პრეზენტაციაზე მიიწვია.
ქალების განვითარებისა და კეთილდღეობის გლობალური ინიციატივა (W-GDP)-ასე ეწოდება აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ახალ წამოწყებას, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის წინსვლასა და სტაბილურობაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. პროექტის ავტორი პრეზიდენტის მრჩეველი ივანკა ტრამპიადა მისი მიზანია, რომ მომავალი ექვსი წლის განმავლობაში 50 მილიონ ქალს დაეხმაროს. პროექტის ბიუჯეტი 50 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

7 თებერვალს, ვაშიგტონში გამართულ პრეზენტაციას ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) ბენეფიციარი ნინო ზამბახიძე დაესწრო და პრეზიდენტსა და დამსწრე საზოგადოებას თავისი წარმატების ისტორია გააცნო. მან აშშ-ს პრეზიდენტს ამერიკისა და საქართველოს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის მადლობა გადაუხადა. გარდა ამისა, მადლიერება გამოხატა ამერიკელი გადამხდელებისადმი, რომლებიც მისი თქმით, მსოფლიო მაშტაბით ზრუნავენ ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაზე. შეხვედრას, ივანკა ტრამპთან ერთად აშშ-ს მაღალი რანგის მოხელეები და სხვადასხვა ქვეყნიდან წარმატებული ქალები ესწრებოდნენ.

ნინო ზამბახიძე საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის პოზიციიდან USAID-ის, ევროკავშირის , საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) და სხვა დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებს ხელმძღვანელობს; აქტიურად ახდენს ფერმერების უფლებების ადვოკატირებას; ამჟამად კი, აგრალულ უნივერსიტეტთან ერთად, მუშაობს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამის შექმნაზე, რომელსაც ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია აფინანსებს.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და USAID-ის პროექტ „ზრდა საქართველოში“ ერთობლივი პროდუქტი - სასოფლო-სამეურნეო პირველადი წარმოების ადგილობრივი სერთიფიცირების სისტემის გეოგაპის სტანდარტი ოფიციალურად დაინერგა.სისტემის აღისრებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ **ნინო ზამბახიძემ.**

გეოგაპი წარმოადგენს კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების ქართულ სტანდარტს, რომლის შექმნის მიზანი ერთი მხრივ საქარლოში მიკვლევადი და უვნებელი ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და გაყიდვების ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივი ფერმერების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაა. სტანდარტში სრულადაა ასახული მდგრადი სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო სისტემების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები, ისევე როგორც ეროვნული კანონმდებლობა.

კვლევის შედეგების პრეზენტაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ (GFA), პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, კვლევის „ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების როლი სოფლის მეურნეობაში“ შედეგები წარადგინა.

კვლევის მიზანი იყო საქართველოში არსებული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ბიზნესორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საჭიროა სახელმწიფოსა და ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის არსებული თანამშრომლობის გაძლიერება.ხოლო მათი მდგრადობისთვის, ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება.

მხარეები ჩამოყალიბდნენ, რომ პროექტი გააგრძელებს ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ფერმერებისთვის საჯარო და კერძო დიალოგს, რომელიც შეეხება ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებს.

გეოგაპი – რეგიონული ტურნე

იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივით, ადგილობრივ ფერმერებთან და მეწარმეებთან გეოგაპის სერტიფიცირების სისტემის შესახებ და სოფლის მეურნეობაში დარგობრივი ასოციაციების მნიშვნელობაზე შეხვედრა გაიმართა. იმერეთის რეგიონში ფერმერთა ასოციაციის ინიციატივით გამართულ შეხვედრებს, პროექტის „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო წარმოების მხარდამჭერი ინიციატივა“- ბენეფიციარებიც ესწრებოდნენ.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

Norwegian Ministry of Foreign Affairs

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ერთობლივი პროექტი საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით ხორციელდება და მას ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს.

პროექტი სხვადასხვა პარტნიორების ჩართულობას ითვალისწინებს.საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, როგორც ერთ-ერთმა პარტნიორმა, დასავლეთ საქართველოს 6 რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი,გურია სამეგრელო, იმერეთი, შიდა ქართლი) 50 ქალის ბიზნესი (სხვადასხვა ბიზნეს სექტორში) შეარჩია.

- მეწარმე ქალებმა დასავლეთ საქართველოდან შეხვედრა ქუთაისში გამართეს, ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს და საკუთარ საჭიროებებზე იმსჯელეს.

- საჭროებებთან ერთად, მეწარმე ქალებმა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ფსიქოლოგიური ასპექტები ფსიქოლოგ სოფო ტაბაღუასთან განიხილეს. შეხვედრისას, საუბარი შეეხო გენდერული ნიშნით ძალადობის გაზიარებას, აღქმას და მის გავლენას.

#ესწალკაა

ევროკავშირის მხარდაჭერით, ახალი პროექტი „ეს წალკაა“ დაიწყო, რომელსაც CENN, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) და სოფლის განვითარების კვლევითი ინსტიტუტთან (Ifls) თანამშრომლობით ახორციელებს.პროექტის მიზანია წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით.პროექტის პრეზენტაცია წალკის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში გაიმართა, რომელსაც მთავრობის, ევროკავშირის, არასამთავრობო სექტორის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

CENN
Shaping the Future by Changing Today

ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

პროექტის მიზნების მისაღწევად პროექტის ფარგლებში, თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით, შეიქმნება და გაძლიერდება წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG). შემუშავდება გენდერულად თანასწორი და ახალგაზრდებზე მორგებული წალკის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია, რომლის საფუძველზეც მოხდება ადგილობრივი პროექტების დაფინანსება. დამატებით, პროექტი იმუშავებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის გამოსწორებაზე მოწყვლადი ჯგუფების, ქალებისა და ახალგაზრდების საქმიანობის გაძლიერების გზით.წალკა ქვემო ქართლში მდებარე მრავალეთნიკური მუნიციპალიტეტია.ის მოიცავს 30 თემს, 43 სოფელსა და დაბა წალკას.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 179.5 მილიონ ევროს. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შექმნას არამარტო აღნიშნულ სექტორში.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ENPARD-ის ვებ-გვერდს: www.enpard.ge.

ესწალკაა

22 მარტს საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში მეორადი საკვები ზეთის კვლავ კვებით ჯაჭვში მოხვედრის საკითხი განიხილეს.კატეგორიულად დაუშვებელია დანამატის სახით მეორადი ზეთით ცხოველისა და ფრინველის გამოკვება, რადგან ის უარყოფით ცვლილებებს იწვევს მათ ორგანიზმში. ფერმერული მეურნეობის გავლით კი ამ სახიფათო ნარჩენის ადამიანის კვებით რაციონში მოხვედრა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პოზიციით, დაუშვებელია ზეთის ხელმეორედ ადამიანის თუ ცხოველის კვებით ჯაჭვში მოხვედრა.

27-28 მარტს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლებმა, საგარეჯოში, გურჯაანში, თელავში, ყვარელსა და ახმეტაში ადგილობრივ ფერმერებს, მეღვინეებს, ასოციაციებს, მუნიციპალიტეტის და ფერმერთა მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებს ხილისა და ბოსტნეულის პირველადი წარმოების სტანდარტის შესახებ ინფორმაცია გააცნეს. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ფერმერებისადმი საკანონმდებლო მოთხოვნების, გეოგაპის სტანდარტების დანერგვისა და სურსათის უნვებლობის მიღწევის შესახებ პრეზენტაცია.

პროექტის „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა „სექტორული საბჭოს დაფუძნება აგრარულ პროფესიულ განათლებაში“, რომლის მიზანი იყო აგრარულ პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშემწყობი მაკოორდინირებელი საბჭოს დაფუძნების მხარდაჭერა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, სექტორული საბჭოს მანდატის, ფუნქციების, მიმართულებების იდენტიფიცირება, საბჭოს სტრუქტურის, ფორმირების წესისა და დაფინანსების მოდელის განსაზღვრა.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ფერმერთა ასოციაციასა და საქართველოში არსებული სექტორული ასოციაციები სოფლის მეურნეობის დარგში ერთხმად შეთანხმდნენ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში, ისევე როგორც კერძო სექტორის ინტერესებიდან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე შემუშავდეს სხვადასხვა სახის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მჭიდრო თანამშრომლობას საჯარო და კერძო სექტორებს შორის, ასევე უპასუხებს სახელმწიფოს მიერ დასახულ განათლების რეფორმის პრიორიტეტებს და ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისთვის პროფესიული უნარების განვითარებას.

პროექტი „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (MESCS) მხარდაჭერითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კოორდინაციით.

გეოგაპისა და მობილური აპლიკაცია „აგრონავტის“ რეგიონული ტურნე

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლები ადგილობრივ ფერმერებს, მეღვინეებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ და ხილ-ბოსტნეულის პირველადი წარმოების სტანდარტის, გეოგაპისა და მობილური აპლიკაცია „აგრონავტის„ შესახებ ინფორმაცია გააცნეს.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Youth

ფერმერთა ასოციაციისა და "WORLD VISION" - ის ტრეინინგები

World Vision საქართველოს ორგანიზებით, პროექტის „კომპეტენციები დასაქმებისთვის" ფარგლებში, ახალგაზრდებს რუთავში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში ტრეინინგები ჩაუტარდათ თემაზე - დუალური განათლება ახალგაზრდების დასაქმების კუთხით არსებული სტრატეგიები და მათი უნარ-ჩვევების განვითარება. პროექტის მიზანია, სოფლად მყოფი ახალგაზრდებისთვის,მათ შორის, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლების უზრუნველყოფა და მათი დასაქმების ხელშეწყობა.

პროექტი შეიქმნა ევროკავშირის ახალგაზრდული ინიციატივის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება "World Vision"-ის საქართველოსა და სომხეთის ოფისებთან თანამშრომლობით, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA), ასოციაციის „ანიკა" და ,,გლობალური განვითარების'' ფონდის მხარდაჭერით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის პროგრამის ,,ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის" (EU4YOUTH) ფარგლებში.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

Norwegian Ministry of Foreign Affairs

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ფორუმი ქალებისთვის

- ქუთაისში , გაეროს ორგანიზაციამ და ბიზნესლიდერთა ფედერაციამ „ქალები მომავლისთვის“ ორდღიან ეკონომიკურ ფორუმს უმანსპიძლა.

- ორდღიანი ფორუმი პროექტ „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების“ ფარგლებში „საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან“ და „გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან“ პარტნიორობით განხორციელდა.

- პროექტის მიზანი ქალთა გაძლიერებაში ბიზნეს კომპანიების როლის აღნიშვნა და წარმატებული ქალების ისტორიების წარმოჩენაა.

- ღონისძიების მიმდინარეობისას წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ქალებისთვის ხელმისაწვდომი ტრეინინგების, გრანტებისა და განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ.